ზვალ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა შეაღებს სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების კარს. მოგილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 173 (5463)
1975 წ.
31 აგვისტო, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ფეხბურთი '75

საქართველოს 1975 წლის თასის მფლობელი ფეხბურთში — ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი. სხედან (მარცხნიდან) — თ. ჭანტურია, ა. დარახველიძე, შ. აბალაია, გ. ციკოლია, გ. სანაძე, გ. თუხთია, გ. ივანოვი, ტ. კაპანაძე; დგანან — გუნდის მწვრთნელი ს. ზაქარიაძე, ე. გაგნიძე, რ. მუმლაძე, გ. მორგოშია, მ. მეგრელაძე, ვ. ხუსკივაძე, ზ. ნემსაძე, თ. ჭავახიშვილი, ვ. მასტიაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

●

(მეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

გარდატეხის სასწავლო წელი

— მე პირველ სექტემბერს სკოლაში მივდივარ, — ამბობს ექვსი წლის ვამეხი.

— მეც, — არ სურს ჩამორჩენა სამი წლის თეას...

სკოლის პირველ ზარს მუდამ მოუთმენლად მოელიან ჩვენი პატარები. მათთვის მუდამ დაუვიწყარი იქნება სკოლისთვის სამზადისი, პირველი მასწავლებლის პირველი სიტყვები...

ხვალ კვლავ გაუღებენ კარს ცოდნას მოწყურებულ ახალგაზრდებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, პროფტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლები. დაიწყება ჭეშმარიტად მასობრივი ლაშქრობა ყველაზე რთული, ყველაზე მაღალი, მაგრამ ყველაზე საამაყო მწვერვალის — ცოდნის მწვერვალის დასაპყრობად. კომუნისტური საზოგადოებისთვის შესაფერისი ადამიანის აღზრდა, ადამიანისა, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შერწყმული სულიერი სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა — აი, რა არის ამ ლაშქრობის დევიზი.

ემზადება რა პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შესახვედრად, აღმზრდელ-პედაგოგთა მრავალრიცხოვანი არმია სიამაყით აანალიზებს ყრილობიდან ყრილობამდე გაწეული მუშაობის შედეგებს. ყველაზე უკეთ სწორედ მასწავლებლები ხედავენ და გრძნობენ, როგორ ამაღლდა და გაფართოვდა თანამედროვე ადამიანის ცოდნის ჰორიზონტი, როგორ დაიხვეწა ინტელექტი, რომელიც დღეს წარმოუდგენელია სულიერი და ფიზიკური სრულყოფის გარეშე.

უკან დარჩა რომანტიკული ზაფხული, პიონერული ზაფხული, შრომითი ზაფხული, სპორტული ზაფხული. შარშანდელისგან იგი თუნდაც იმითაც განსხვავდებოდა, რომ უფრო მეტი მოსწავლე იკაჟებდა სხეულს პიონერულ ბანაკებში, მეტი უფროსკლასელი მოსწავლე და სტუდენტი ამოუდგა მხარში რესპუბლიკის მშრომელებს. ყველგან, სადაც უნდა ყოფილიყვნენ მოსწავლეები და სტუდენტები, მთავარი ამოცანა იყო ზრუნვა მათი ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის. ხოლო ფიზკულტურა და სპორტი ერთგული მეგობარი იყო ძალისა და ენერგიის მოკრებაში, არდადეგების ხალისიანად და შინაარსიანად გატარებაში.

— პაპა, მარინე ხელმძღვანელმა გვითხრა, ბანაკი ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად შეჯიბრებას ატარებს და ოქტომბრელებიც უნდა მოვამზადოთო. მე ბურთის გადაგდებაში და გადახტომაში შევეჯიბრები ბავშვებს, — სწერდა გორის რაიონის სოფელ საქაშეთში სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდს როსტომ ტარუაშვილს პატარა ბაქარი.

ასეთ ბარათებს პიონერული ბანაკებიდან ბევრი გზავნიდა. წლეულს რესპუბლიკის ბანაკებში მასობრივად ჩატარდა სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სპარტაკიადები. ეწყობოდა სპორტული ზეიმები, რომელთა მთავარი დევიზი მშდ კომპლექსის პროპაგანდა იყო.

სტარტზეა ახალი სასწავლო წელი, რომელმაც პრაქტიკულად უნდა განახორციელოს რესპუბლიკის განათლების მუშაკთა ფიზკულტურული აქტივის კრებაზე დასახული ამოცანები, რომელიც შემობრუნების ეტაპად უნდა გადაიქცეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობაში. ამას მოითხოვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 3 ივლისის დადგენილება, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის, მოსწავლეთა 27-ე სპარტაკიადისა და პროფტექნიკური სასწავლებლების ფიზკულტურის კოლექტივების I საკავშირო თამაშების შედეგების ანალიზი. ამთავითვე შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ნაკლოვანებებს. წარმატებას კი მაშინ მივაღწევთ, როცა ერთი მიზნისთვის დაირაზმებიან არა მარტო სკოლებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელები, არამედ მთელი საზოგადოებრიობა, როცა პედსაბჭოს თუ რექტორატის გადაწყვეტილება ქაღალდზე არ დარჩება, როცა სათანადო დონეზე დადგება შემოწმება და კონტროლი.

ბევრგან გულგრილად ეკიდებიან კარდინალურ საკითხს — მატერიალურ-სპორტული ბაზის შექმნას და განმტკიცებას. მთელ რიგ სკოლებს პირველ სექტემბერს დაუმთავრებელი სპორტული ბაზების გარეშე გადასცემენ საექსპლოატაციოდ. სიგნალები მოწმობს, რომ ბევრგან „მხედველობიდან გამორჩენიათ" სპორტული დარბაზების შეკეთება და ღია მოედნების კეთილმოწყობა. განათლების ორგანოებმა და საშეფო ორგანიზაციებმა საგანგებო მსჯელობის საგნად უნდა აქციონ ეს საკითხი.

განსაკუთრებული ზრუნვა გვმართებს სოფლის სკოლებისთვის. სამაგალითოდ უნდა მოვიტანოთ ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშის სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე ს. მელიქიძე) და ამავე სოფლის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ლ. დავლაშერიძე) თაოსნობა, რომლებიც ორი საკლასო ოთახის სპორტულ დარბაზად გადაკეთებაში და აღჭურვაში დაეხმარნენ სოფლის საშუალო სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-სპორტული ბაზის განმტკიცების საკავშირო კონკურს-დათვალიერება, რომელიც ახალი სასწავლო წლის პირველი დღიდანვე ცხადდება, მძლავრ სტიმულად უნდა იქცეს ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ ყველა რეზერვი, გულმოდგინედ დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება, ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება. უნდა გამოვიყენოთ მშდ კომპლექსის ამოუწურავი შესაძლებლობები, უნდა ამაღლდეს ფიზიკური აღზრდის მოსწავლეთა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, მეცადინეობების ხარისხი, ურომლისოდაც ზედმეტი იქნება ლაპარაკი ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობაზე და, მაშასადამე, სპორტული ოსტატობის ზრდაზეც. ხარისხი — აი, რა უნდა იყოს საქმიანობის ქვაკუთხედი.

ხვალ მილიონამდე ბავშვი მიუჯდება სასკოლო მერხებს. მათგან თითქმის 88 პროცენტი საშუალო სკოლის მოსწავლე იქნება. მწყობრში ჩადგება 72 ახალი სკოლა. მარტო სოფლად 22.300 მოსწავლე იზეიმებს ახალსახლობას. ბათუმში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ბავშვთა სპორტული სკოლის ახალი კომპლექსი. ყველაფერი ეს მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს განათლების ფრონტის მუშაკებისგან. ახალი სასწავლო წლის დაწყება ღირსშესანიშნავია იმითაც, რომ ძალაში შედის ფიზიკური აღზრდის ახალი, სრულყოფილი პროგრამა, რომელიც სკოლის მესვეურთა დიდ ყურადღებას საჭიროებს.

სტარტზეა ახალი სასწავლო წელი. დაე, ნაკლოვანებებთან შეურიგებელი ბრძოლის შედეგად მიღწეული წარმატება იყოს მისი ფინიში.

●   ●

ჩვენი თურქი სტუმრები

სსრ კავშირში სტუმრადაა თურქეთის „ტრაბზონსპორი". როგორც ცნობილია, მან ამხანაგური შეხვედრები გამართა მოსკოვის „დინამოსთან" და დონეცკის „შახტიორთან". დღეს კი თურქი ფეხბურთელები ჩვენი სტუმრები არიან.

• • •

სურათზე: „ტრაბზონსპორის" ფეხბურთელთა დელეგაცია თბილისის აეროდრომზე.

ა. გურასაშვილის ფოტო.

●

(„ტრაბზონსპორის" მწვრთნელთან ზ. ერსოისთან საუბარი იხ. მე-3 გვ.).

ახალი ამბავი-75

● პლოვდივი, 29 აგვისტო. ბულგარეთის ამ ქალაქში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების ხელბურთელ ქალიშვილთა ტრადიციული ტურნირი „მეგობრობა". რიგით ამ მეორე შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, გდრ-ის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთისა და ბულგარეთის (2) ნაკრები გუნდები. I ადგილი დაუმარცხებლად დაიკავა სსრ კავშირის გუნდმა. მან მხოლოდ ერთი მატჩი დაამთავრა ფრედ (9:9 — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან). II ადგილზე გავიდა გდრ-ის კოლექტივი, ხოლო III — ბულგარეთის პირველი ნაკრები. გამარჯვებული გუნდის მწვრთნელები არიან ქ. მაჭავარიანი და პ. ჩუმაკოვი.

● მონრეალი, 29 აგვისტო. აქ დამთავრდა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. უმაღლესი წოდება მოიხვეჭა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა უ. პუტნონშმა, რომელმაც 5316 ქულა მოაგროვა. ვერცხლის მედალი მოიგო უნგრელმა ლ. დობიმ — 5314, ხოლო ბრინჯაოსი — ვ. იანიჩეხმა (გფრ) — 5272. თბილისელი ვ. გონჩაროვი IX ადგილზეა — 5138. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა უნგრეთის ნაკრებმა — 15710 ქულა. სსრ კავშირის გუნდმა II ადგილი დაიკავა — 15600.

მესამე — მსოფლიოში

ბერლინი, 29 აგვისტო. ბადრონ ტყორცნაში გდრ-ის რეკორდსმენის სახელი პირველად მოიხვეჭა 21 წლის საბინე ენგელმა (სიმაღლე — 180 სმ, წონა — 80 კგ), რომლის შედეგია 67,34 მ.

ეს მაჩვენებელი მესამეა მსოფლიოს მძლეოსნობის ისტორიაში.

ასე ხვდებიან პირველ ზარს...

ახალი სასწავლო წლისთვის — ახალი პროგრამები

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხები აგვისტოს თათბირებზე

ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე რაიონებში აგვისტოს თათბირები იმართება, სადაც, გარდა საერთო საკითხებისა, ტარდება ცალკე საგნების სპეციალისტთა სექციების სხდომები ახალი პროგრამებისა და მითითებების განსახილველად. წლეულს პლენარულ სხდომებზე გამოიტანეს ორი საკითხი: რაიონის განათლების განყოფილების მოხსენება სასწავლო მუშაობის შესახებ და ალკკ რაიონული კომიტეტისა — კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" 8 აგვისტოს ნომერში დაბეჭდა განათლების სამინისტროს საორიენტაციო რეკომენდაციები ცალკეულ საგნებში, მათ შორის ფიზკულტურაშიც, აგრეთვე ამ საკითხების სია, რაზედაც უნდა გამახვილებულიყო ყურადღება აგვისტოს თათბირების სექციურ სხდომებზე. აქ ერთ-ერთ საკითხად გამოტანილია სკოლაში ფიზკულტურის ახალი პროგრამების შემოღება.

ახალ სასწავლო წელს სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები განსაკუთრებულ პირობებში ჩატარდება. ამ საგანში მეცადინეობა ახალი პროგრამებით უნდა დავიწყოთ, ეს პროგრამები კი მხოლოდ ივლისში დაიბეჭდა რუსულ პედაგოგიურ ჟურნალში („ფიზკულტურა ვ შკოლე"). ამის გამო პროგრამის გამოცემა სამინისტროს საკმაოდ მძიმე პირობებში მოუხდა. თუმცა, ახალი სასწავლო წლისთვის იგი მაინც დაურიგდება ქართულ სკოლებს. რუსულმა სკოლებმა კი პროგრამების მიღებამდე ჟურნალ „ფიზკულტურა ვ შკოლეს" ნომრებით უნდა ისარგებლონ.

ახალი პროგრამები მთლიანად „მზად ვარ შრომისა და საბჭოთა კავშირის დაცვისთვის" კომპლექსზეა დაფუძნებული. ახალი პროგრამების მიღებამდე ნორმატივების ჩაბარების კალენდრის მონიშვნა და ცალკეულ სახეობებში ნორმატივების ჩასაბარებლად მეცადინეობის გეგმა მთლიანად უზრუნველყოფს პროგრამის პრინციპების შესრულებას.

სექტემბერ-ოქტომბერში ფიზკულტურის გაკვეთილები ძირითადად უნდა დაეთმოს მძლეოსნობის ნორმატივებისთვის მზადებას და იქ, სადაც შესაძლებელია, ცურვის სწავლებას, ამ ამოცანების შესრულების შემდეგ კი — სპორტულ თამაშებს. სპორტული თამაშებიდან პროგრამა უპირატესობას ანიჭებს ხელბურთს. ფრენბურთს მოსწავლეები IX-X კლასებში ეცნობიან.

მეორე მეოთხედში ძირითადად დაგეგმილი უნდა იყოს ტანვარჯიშის ნორმატივების მომზადება და ჩაბარება. ამავე პერიოდში იგეგმება ახალი სახეობები: ვაჟებისთვის — ჭიდაობა, გოგონებისთვის — მხატვრული ტანვარჯიში. ამ მიზნით სექტემბერში განათლების სამინისტროს განზრახული აქვს ყველა რაიონიდან ხელახლა მოამზადოს თითო სპეციალისტი ჭიდაობაში და მხატვრულ ტანვარჯიშში. შემდეგ ეს სპეციალისტები თავიანთ რაიონებში მასწავლებლებს გააცნობენ ამ დისციპლინებს.

ჩვენთან შემოვიდა შეკითხვები, შეიძლება თუ არა კლასიკური ჭიდაობის საპროგრამო მასალის ქართული ჭიდაობით შეცვლაო? ცნობილია, რომ ქართული ჭიდაობა ნამდვილად კარგი სკოლაა ყველა სხვა სახის ჭიდაობისთვის, მაგრამ ის მინიმუმი, რაც პროგრამით სავალდებულოა, მოსწავლეებმა მაინც უნდა გაიარონ. ამის შესაძლებლობას სასწავლო გეგმით მოცემული საათების რაოდენობა და კლასგარეშე მუშაობა იძლევა.

უფრო რთულია მეორე საკითხი: გოგონებისთვის მხატვრული ტანვარჯიშის სწავლება, მაგრამ დარბაზი (აქ უპირველად უნდა გამოვიყენოთ სააქტო დარბაზი, რადგან სპორტული ამ დროს ჭიდაობის შემსწავლელებს ექნებათ დაკავებული), მუსიკა, სპეციალისტი და სხვა, ბევრი სკოლისთვის დღესდღეობით მიუწვდომელ ოცნებად რჩება.

მძლეოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, ჭიდაობა, მხატვრული ტანვარჯიში ცალკეული კლასების საპროგრამო მასალადაა გამოყენებული. პროგრამის ძირითადი ამოცანაა ზოგადი ფიზიკური აღზრდა. კლასების მიხედვით პროგრამაში გამოყენებულია შემდეგი სასწავლო მასალა:

საპროგრამო კლასის მასალა	კლასები									
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
თეორიული ცნობები	2	3	3	2	2	2	2	2	2	2
ტანვარჯიში	34	35	10	18	20	13	13-14	10-0	10-0	10-0
მძლეოსნობა	—	—	12	10	18	18	16	16	16-18	16-18
სათხ. მომზად.	12	12	12	14	16	16	16	16	16-16	16-16
ცურვა	—	—	—	26	—	—	—	—	—	—
ხელბურთი ან კალათბურთი	—	—	—	—	—	—	14	14	8-8	8-8
ფეხბურთი	—	—	—	—	—	—	—	—	8-8	8-8
მოძრ. თამაში	22	23	16	—	—	—	—	—	—	—
ჭიდაობა (ვ)	—	—	—	—	—	—	8-0	8-10	—-10	—-10
მხ. ტანვარჯიში	—	—	—	—	—	—	0-9	0-9	18-0	18-0
	70	70	70	70	70	70	70	70	70	70

შენიშვნა: VII-X კლასებში დეფისის მარცხნივ — საათების რაოდენობა ვაჟთა ჯგუფისთვის, მარჯვნივ — ქალთათვის.

იმ შემთხვევაში, თუ ცურვის შესწავლა (IV კლ.) კლასგარეშე მუშაობის ან საშინაო დავალების ხარჯზე მოხერხდება, 26 გაკვეთილი თანაბრად განაწილდება ტანვარჯიშსა და მძლეოსნობაზე. სათხილამურო მომზადება უთოვლო რაიონებში შეცვლილია საკროსო მომზადებით, რის ხარჯზეც, მძლეოსნობის საათებთან შეერთების გამო, შეიძლება 7-8 საათით გავზარდოთ ტანვარჯიში, მეტადრე წვიმიან დღეებში. ცხრილის მიხედვით მოძრავი თამაშები III კლასის ზევით ცალკე აღნიშნული არ არის, მაგრამ პროგრამა ავალებს სკოლას ეს დიდი პედაგოგიური საშუალება გაითვალისწინოს იმ მოძრაობითი თვისებების გასავითარებლად, რასაც სპორტის ეს სახეობა ემსახურება.

ახალი პროგრამები ითვალისწინებს ზოგად თეორიულ ცნობებსაც სპორტული სახეობების გამოყენების შესახებ.

ფიზკულტურის სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა **ჩაუნერგოს ბავშვებს აზრი, რომ საკუთარი ფიზიკური მდგომარეობისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის, მოძრაობითი ჩვევების — ძალის, სისწრაფის, გამძლეობისა და სიმარჯვის შექმნისთვის გაწეული შრომა მხოლოდ მისი პირადი საქმე კი არ არის, არამედ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობაა.**

მოსწავლემ უნდა ჩაინერგოს ის აზრი, რომ მისი შრომისნაყოფიერება, პირადი ცხოვრება, სწავლა მთლიანად დამოკიდებულია ფიზიკურ თვისებებზე.

საპროგრამო მასალა ამზადებს IV-VII კლასების მოსწავლეებს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის I-II, VIII-IX კლასის მოსწავლეებს — II საფეხურის ნორმატივების ჩაბარებისთვის, ხოლო X კლასში მოსწავლემ უნდა მოასწროს მიღებული ჩვევების განმტკიცება-სრულყოფა.

პროგრამა, ჩვევათა გამომუშავების გარდა, ამოცანად ისახავს ბავშვის ფიზიკური მოძრაობითი თვისებების განვითარებასაც. ამ მიზნით პროგრამის თითოეულ განაკვეთში გათვალისწინებულია მოძრაობითი თვისებების განვითარება და მოტანილია სასწავლო მასალა სათანადო ცოდნა-ჩვევების ასათვისებლად. ახალი პროგრამა ზრდის მასწავლებლის პასუხისმგებლობას სასწავლო მასალის შერჩევაში. მასწავლებელს საშუალება აქვს ადგილობრივი პირობების მიხედვით შეარჩიოს უფრო ეფექტური, უფრო შედეგიანი ვარჯიშები.

პროგრამის მიხედვით, **დილის ტანვარჯიში სავალდებულოა ყველა მოსწავლისთვის,** ხოლო კომპლექსის დამოუკიდებლად შედგენის წესებს მოსწავლეები სწავლობენ მხოლოდ VIII კლასში. შემდეგ მათ ეძლევათ დავალება, რომ თვითონ შეადგინონ კომპლექსის რამდენიმე ვარიანტი. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის სკოლებში მეტად იშვიათია წინაღობის ზოლზე ვარჯიში და ნორმატივების ჩაბარება. ამიტომ მოსწავლის მიერ ნორმატივების ჩაბარება ოქროს სამკერდე ნიშანზე VI-VII კლასებში ეჭვს იწვევს.

განსაკუთრებით დგას ცურვის შესწავლის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის სკოლების უმრავლესობას არა აქვს საცურაო აუზი და პირობები ცურვის გაკვეთილების ჩასატარებლად, პროგრამაში მაინც შეტანილია ცურვის 26 გაკვეთილი IV კლასისთვის. საჭიროა ადგილობრივმა საბჭოებმა, საზოგადოებრიობამ, საშეფო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გაითვალისწინონ, რომ ეს ვალდებულება სკოლას არ მოეხსნება და **სახელმწიფო მაინც მოითხოვს სკოლისგან ბავშვებისთვის ცურვის სწავლებას.** ზოგიერთმა ჩვენმა განათლების ორგანომ (სოხუმი) მოაწყო საცურაო სასწავლო პუნქტი, სადაც ყოველ მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს ცურვა და მიიღოს ცნობა სკოლაში წარსადგენად; ზოგმა გაკვეთილებზე მოახერხა ცურვის სწავლება (თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა), რადგან გვერდზე ჰქონდა საცურაო აუზი; ზოგმა ცურვის სწავლებისთვის სპორტსკოლასთან სასწავლო ჯგუფები მოაწყო, ხოლო მოსწავლეებს სასწავლო წლის განმავლობაში „საშინაო" დავალების სახით მოსთხოვა ცურვის შესწავლა, შემდეგ კი მისცა „საზაფხულო დავალება", რომ ცურვა ესწავლათ პიონერთა ბანაკებში და სპორტულ სკოლებში (თბილისის ლენინის რაიონის სპორტსკოლა); ზოგან საშეფო ორგანიზაციებმა გაუწიეს დახმარება სკოლებს ამ საქმეში. პრესაში რამდენიმე მაგალითიც იყო მოყვანილი, როდესაც სკოლებმა თვითონ ააგეს საცურაო აუზები.

სკოლამ შეიძლება მოითხოვოს ერთი საპროგრამო მასალის შეცვლა თანაბარი დატვირთვის სხვა სასწავლო მასალით, მაგალითად; თხილამურებისა — ციგურაობით, მაგრამ, რათა ამან საერთოდ ყოველმხრივი ფიზიკური მომზადებას უგულებელყოფა არ გამოიწვიოს, სკოლამ ასეთი შეცვლის უფლება ზემდგომი კომპეტენტური ორგანოსგან უნდა მიიღოს (რასაკვირველია, თავისი განათლების განყოფილების საშუალებით).

სკოლის განსაკუთრებული ამოცანაა ბავშვებში **ტანის სწორად დაჭერის ჩვევის გამომუშავება.** ამ საკითხს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლის გარეთაც და სკოლაშიც.

ფიზიკური კულტურის ახალი სასწავლო პროგრამა უკვე დაიბეჭდა. ახალი სასწავლო წლის განმავლობაში სკოლის მასწავლებლებმა ენერგია და გამოცდილება არ უნდა დაზოგონ პროგრამის განსახორციელებლად. ამავე დროს, მათ გულისყურით უნდა აღრიცხონ, რა არის პროგრამაში მთავარი და მეორეხარისხოვანი, რა ვერ სრულდება მოცემულ საათებში, რას აქვს დათმობილი ზედმეტი საათები, რა მასალის შეტანაა (ან გამოკლება) სასურველი პროგრამაში. ეს საჭიროა პროგრამის შემდგომი დახვეწისთვის.

გ. მერკვილაძე,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის დირექტორი.

სტუდენტთა სამსახურში

სპორტული ბაზები, ინვენტარი, ფორმები

მიმდინარე წელს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის 150 სტუდენტი მონაწილეობდა მესამე შრომით სემესტრში ცხინვალსა და ვოლოგდაში. იმ დროს, როდესაც სტუდენტებს თავდადებული შრომით წვლილი შეჰქონდათ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირნათლად შესრულების საქმეში, მათი პროფესორ-მასწავლებლები გულხელდაკრეფილი როდი ისხდნენ: ზაფხულის პერიოდში, ახალი სასწავლო წლის მომზადებულად შეხვედრისთვის, ინსტიტუტში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. შეიღება აუდიტორიები, კაბინეტები, ლაბორატორიები, სასწავლო ინვენტარის ნაწილი, კაპიტალურად გარემონტდა სპორტული ტანვარჯიშისა და ძალოსნობის დარბაზები... პირველი სექტემბრიდან სტუდენტთა სამსახურში ჩადგება გასაბერი სპორტული დარბაზი ხელბურთისა და ჩოგბურთისთვის. კეთილმოეწყო სხვა სპორტული დარბაზები, ფეხბურთისა და მძლეოსნობის სარბიელები, ხელბურთისა და ჩოგბურთის მოედნები. შეიძინეს ახალი ველოსიპედები, ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, ძალოსნობისა და კრივისთვის საჭირო სპორტული ინვენტარი და ფორმები.

ახალი სასწავლო წლისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო მისაღები გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარება. წლეულს აქ სპორტის 27 სახეობაში მიიღეს 150 სტუდენტი, რომელთაგან 3 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია, 71 — სპორტის ოსტატი, 58 — ოსტატობის კანდიდატი, ხოლო დანარჩენები პირველთანრიგოსნები არიან.

ხვალ, როცა ზარი სტუდენტებს სწავლისკენ მოუხმობს, ისეთი აღიარებული სპორტსმენების გვერდით, როგორიც არიან ნ. დრონოვა, ა. კიკნაძე, ა. ოქროპირიძე, ი. ფირალიშვილი, ი. კრატასიუკი და სხვები, პირველად მიუსხდებიან ინსტიტუტის მერხებს ასევე ცნობილი სპორტსმენები თ. ლეჟავა, ვ. სკრინიკოვი, ლ. სუინა, მ. მორჩილაძე, ა. სულაქველიძე, ვ. მარშანია, გ. ელერდაშვილი, ი. კასრელიშვილი, ი. პოპოვი, ნ. დერიუგინი, ვ. დარასელია, ე. კვენეტაძე, ნ. ბურჯალიანი, ნ. გორდელაძე, თ. აზარაშვილი და სხვ.

კეთილ სასწავლო წელს გისურვებთ, ჩვენო სახელოვანო სპორტსმენებო.

ვ. ვაჩაძე.

შემოდგომის პირზე

მიიწურა კიდევ ერთი ხალისიანი ზაფხული. ბავშვები საგულდაგულოდ ემზადებიან შემოდგომის პირველი დღისთვის: ამ დღეს ხომ პირველად აწკრიალდება ახალი სასწავლო წლის მაუწყებელი ზარი. ამ პერიოდში ძნელია ქუჩაში გავლა, მაღაზიებში შესვლა. აქ უმთავრესად მოსწავლეები და მათი მშობლები არიან: ვის რვეული და დღიური სურს იყიდოს, ვის — ახალი ფორმა თუ ყელსახვევი... ერთი სიტყვით, არავის უნდა მოუმზადებელი შეხვდეს პირველ სექტემბერს.

ყოველივე ამის გარდა, მოსწავლეებს კიდევ აქვთ ერთი ამაღელვებელი საქმე — შეხვედრა სკოლასთან, მასწავლებლებთან, თანაკლასელებთან. რამდენი რამ აქვთ ბავშვებს ერთმანეთისთვის საამბობი: ვინ სად დაისვენა, როგორ გაატარა დრო, რა სასარგებლო საქმე შეასრულა მეხუთე შრომით მეოთხედში.

... თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლა (დირექტორი ი. ჩეჩელაშვილი). ვინ მოთვლის, რამდენი თაობა აღუზრდია ამ სკოლას და რამდენი ახლა მადლიერებით იხსენებს მას, ყოფილ მასწავლებლებს, სკოლის კედლებში გატარებულ წლებს.

მართლაც საყვარელია — ნაძვის ხეებში ჩაფლული, ლამაზი, ოთხსართულიანი შენობა. ჩვენ, რა თქმა უნდა, დავინტერესდით, თვით სკოლის დირექცია და პედკოლექტივი როგორ ხვდებიან ამ ყველა მოზარდისთვის დაუვიწყარ დღეს.

ფუსფუსია უზარმაზარ შენობაში. საქმიანი, სასიამოვნო ფუსფუსი. ყველა საქმიანობს: მასწავლებელი თუ დამლაგებელი, მღებავი თუ მშენებელი. ყველა ერთ სურვილს შეუპყრია — სუფთად და ლამაზად დაახვედრონ მოსწავლეებს სკოლის შენობა.

ყველაფერი კარგია, მაგრამ სპორტული დარბაზების საქმე როგორღაა? ჩინებულად. საერთოდ სკოლას ზაფხულის განმავლობაში კაპიტალური რემონტი გაუკეთდა. გაარემონტეს სპორტული დარბაზებიც. დიახ, არ შევმცდარვართ: დარბაზები. სასწავლებელს ორი დარბაზი აქვს — ერთი ძველი და ერთი ახალი.

— ძველი პატარაა — იქ ძირითადად მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის სექციების წევრები ივარჯიშებენ, — გვეუბნება სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი გივი გაბიტაშვილი. — ახალში კი ყველა სახეობაში შეიძლება მეცადინეობა. ზამთრობით ბავშვები აქ ივარჯიშებენ მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ხელბურთში, ტანვარჯიშში. ინვენტარი სულ ახალია...

ახლა მოედანს არ იკითხავთ? 394 კვადრატული მეტრია. კაცმა მოინდომოს და რა არ შეიძლება აქ გაკეთდეს. მონდომება კი არც გაბიტაშვილს აკლია და არც მის კოლეგებს.

— აქ ფრენბურთის ბადეს გავაბამთ, კალათბურთის ფარებს დავკიდებთ, ხელბურთის კარებს დავდგამთ. შენობაში, სპორტდარბაზის შესასვლელთან, საქართველოს სახელოვან სპორტსმენთა ფოტოსტენდი უნდა მოვაწყოთ, მათი, ვისაც საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა მოუპოვებია, — განაგრძობს ჩვენი თანამოსაუბრე.

გვჯერა მისი სიტყვები. აბა, სხვანაირად როგორ იქნება. თბილისის 51-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა შარშან და შარშანწინ რაიონის სასკოლო სპარტაკიადებში ხომ გარდამავალი წითელი დროშა და თასი მოიპოვა.

... მოსწავლეებს ახალ სასწავლო წელს გული არაფერზე დასწყდებათ. ბედნიერი ყოფილიყოს ეს სასწავლო წელი თქვენთვის, ბავშვებო!

დ. ბელიძე.

სკოლა მზადაა

პირველი სექტემბრისთვის სხვებთან ერთად კარგად მოემზადა თბილისის 41-ე საშუალო სკოლის (დირექტორი მ. კოსტოევი) პედაგოგიური კოლექტივიც. აქ წლევანდელი სექტემბრისთვის მზადება ფაქტიურად ჯერ კიდევ შარშანდელი სასწავლო წლის დამთავრებისთანავე დაიწყო. ზაფხულის განმავლობაში სკოლაში ჩატარდა კაპიტალური რემონტი, შეკეთდა სახურავი, სასკოლო ინვენტარის ნაწილი. სულ რემონტისთვის დაიხარჯა 16 ათასი მანეთი. ეს თანხა გადარიცხა საშეფო ორგანიზაციამ — საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტრომ, ხოლო სამუშაოები ჩაატარა საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო კონტორამ (სამუშაოთა მწარმოებელი მ. შალვაძე). გარდა რემონტისა, სკოლაში გაკეთდა და დამონტაჟდა ლინგოფონის კაბინეტი უცხო ენის შესასწავლად, რომლის მოწყობისთვისაც 1400 მანეთი დაიხარჯა.

ამ სკოლის მოსწავლეები ხშირად მონაწილეობენ სარაიონო თუ საქალაქო სპარტაკიადებში და საპრიზო ადგილებსაც იკავებენ. ამ წარმატებების საწინდარია სკოლის კარგი სპორტული დარბაზი, სადაც ახლახან ჩატარდა რემონტი, გაკეთდა კიდევ ერთი გასახდელი, ღია სპორტული მოედანი კალათბურთისა და ფრენბურთისთვის, სახტომი ორმო და 60-მეტრიანი სარბენი ბილიკი.

სკოლის დირექციამ სარემონტო სამუშაოებთან ერთად დროულად იზრუნა და შეიძინა 700 მანეთის ახალი სპორტული ინვენტარი, რაც ახალგაზრდა ფიზკულტურელებს ხელს შეუწყობს სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებაში.

ასე რომ, სკოლა ყოველმხრივ მზადაა პირველი სექტემბრისთვის.

ვ. დანელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 31 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“	19	12	7	0	34—9	31
„დინამო“ მ.	20	12	4	4	34—17	28
ასკ	20	12	3	5	38—21	27
„სპარტაკი“	20	9	7	4	35—19	25
„კარპატი“	20	10	5	5	28—13	25
„დინამო“ კ.	19	10	4	5	35—22	24
ცსკა	19	4	11	4	18—21	19
„ლოკომოტ.“	20	6	7	7	26—31	19
„ზენიტი“	19	5	7	7	25—28	17
„დინამო“ თბ.	19	6	4	9	35—30	16
„ფახთაქორი“	20	6	4	10	15—32	16
„არარატი“	20	5	4	11	24—32	14
„დნეპრი“	19	3	7	9	17—33	13
„შახტიორი“	17	4	4	9	14—29	12
„ზარია“	19	2	8	9	23—41	12
„ჩერნომორ.“	20	4	4	12	25—48	12

თასი სტუდენტებმა მოიგეს

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 29 აგვისტო.

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:1 (0:0).

ფიზკულტურის ინსტიტუტი: გაგნიძე, ახალაია, ნემსაძე, ხუსკივაძე, ჯავახიშვილი, მუმლაძე (მორგოშია), დარახველიძე, ციკოლია, სანაძე, ჭანტურია (ივანოვი), მეგრელაძე.

„სალხინო“: ფანცულაია, დანელია, ბაკურია, ციცხვაია, გვასალია, კანკავა, თორდინავა, ჩხეტია, გაგუა, ოდიშარია, გეგეჭკორი (ნ. დანელია).

მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).

გაფრთხილებული არიან ჭანტურია და ბაკურია.

საქართველოს ჩემპიონატში გეგეჭკორის „სალხინოს“ წლეულს საუკეთესო მაჩვენებლები აქვს. იგი სტაბილურად თამაშობს, III ადგილზეა და 6 ქულით უსწრებს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს, რომელთანაც ფინალურ მატჩში მოუხდა საპატიო პრიზისთვის ბრძოლა.

მაგრამ ჩემპიონატი ერთია, თასი კი სხვა. მას თავისი დაუწერელი კანონები აქვს, რომელთაც ხშირ შემთხვევაში საერთო არაფერი აქვთ პროგნოზებთან. ამიტომ სათასო მატჩებში მუდამ უნდა ელოდო მოულოდნელ სიტუაციებს, გაუთვალისწინებელ ამბებს.

ინსტიტუტის ფეხბურთელებმა პირველივე წუთებიდან ხელთ აიღეს უპირატესობა და, „სალხინოს“ ეპიზოდურ კონტრშეტევებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მტკიცედ ფლობდნენ მას ორხივე ტაიმის განმავლობაში, ხოლო თუ მატჩის ძირითად დროში ვერ შეძლეს ტერიტორიული უპირატესობის რეალიზაცია, გეგეჭკორელები ამას უმთავრესად მეკარე ფანცულაიას უნდა უმადლოდნენ. მან უკვე მე-8 წუთზე მოიგერია ციკოლიას მიერ დარტყმული ძნელი საჯარიმო, მერე აშკარა გოლს გადაარჩინა კარი, როცა მის პირისპირ აღმოჩნდა ჯერ სანაძე, შემდეგ — ჭანტურია, მეგრელაძე...

ასეთ დაძაბულ ვითარებაში ორივე გუნდის მხრივ თავი იჩინა უხეშობამ, წესრიგის დარღვევამ, თამაშის სანახაობრივმა მხარემ მკვეთრად იკლო, მსაჯი გაჭირვებით ახერხებდა ფეხბურთელთა მოჭარბებული „ვნებათაღელვის“ დაოკებას. 42-ე წუთზე „სალხინოს“ ცენტრალური თავდამსხმელი გაგუა ერთი ერთზე დარჩა მეკარე გაგნიძესთან და, კარიდან სულ რამდენიმე ნაბიჯზე მყოფმა, ვერ შეძლო ამ ნაღდი შანსის გამოყენება.

მეორე ტაიმში თამაში კიდევ უფრო გაუფერულდა, ტემპი შენელდა, იმატა შეცდომებმა და ბურთის გაუმართლებლად ზედმეტმა ტარებამ.

საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა, რომელიც სტუდენტებმა მეტოქეზე გაცილებით უფრო მობილიზებულად, ენერგიულად და მონდომებით ჩაატარეს. 94-ე წუთზე ივანოვმა, რომელიც ის-ის იყო შემოვიდა მინდორზე, ზუსტი, ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა, ცოტა ხნის შემდეგ კი მუმლაძე სწრაფად გავიდა მარცხენა ფლანგზე, ცენტრში გადასცა ბურთი, სადაც სანაძე უმეთვალყუროდ იყო დარჩენილი — 2:0.

„სალხინომ“ სცადა მდგომარეობის გამოსწორება, რამდენიმე საიერიშო კომბინაციაც გაითამაშა, რომელთაგან ერთ-ერთი უეჭველად გოლით დამთავრდებოდა, ჩხეტიას დარტყმას ზედ კარის ხაზზე რომ არ დახვედროდა მორგოშია (საინტერესოა, რომ მორგოშიაც ზუსტად ამ ეპიზოდის წინ გამოვიდა მინდორზე).

შემდეგ, როცა ციკოლიამ მესამე ბურთი გაიტანა, სტუდენტთა გამარჯვება უკვე რეალობად იქცა და „სალხინომ“ მხოლოდ ის შეძლო, რომ პრესტიჟის გოლი გაიტანა: ოდიშარიამ ოსტატურად დაარტყა.

ამრიგად, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი დაეუფლა საქართველოს თასს და მონაწილეობას მიიღებს ფიზკულტურის კოლექტივების საკავშირო თასის გათამაშებაში. გამარჯვებულებს გადაეცათ ბროლის პრიზი და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის I ხარისხის დიპლომები. გეგეჭკორელმა ფეხბურთელებმა II ხარისხის დიპლომები მიიღეს.

რ. ქორიძე.

* * *

სურათზე: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ი. საყვარელიძე თასს გადასცემს გამარჯვებული გუნდის კაპიტანს შ. ახალაიას.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ჩვენი თურქი სტუმრები

„ტრაბზონსპორის“ ფეხბურთელები გუშინწინ ჩამოფრინდნენ თბილისში. ჩვენი საუბარიც მათ უფროს მწვრთნელთან შუქრი ერსოისთან სწორედ იმ დღეს მოხდა.

შუქრი ერსოი 1967 წლიდან მუშაობს მწვრთნელად. მანამდე იგი „ფენერბახჩეს“ კარის დარაჯი იყო, ეროვნული ნაკრების კარი კი 14 მატჩში დაიცვა. მას უთამაშია მოსკოვის „დინამოს“, ლენინგრადის „ზენიტის“ წინააღმდეგ მაშინ, როცა სსრ კავშირს „ფენერბახჩე“ ეწვია. ერსოიმ კიოლნში დაამთავრა მწვრთნელთა სკოლა.

ახლა კი გაგაცნობთ ჩვენს საუბარს.

● ბატონო შუქრი, თუ შეიძლება გაგვაცანით „ტრაბზონსპორის“ ისტორია.

— 1966 წელს ტრაბზონის მოყვარულთა ორი საუკეთესო გუნდიდან ჯგუფი შეირჩა. მათგან ჩამოყალიბდა პროფესიული გუნდი „ტრაბზონსპორი“. 1974-75 წლების სეზონამდე იგი II ლიგაში თამაშობდა, შარშან კი I ლიგის ბინადარი გახდა. ჩვენში I ლიგა იგივეა, რაც თქვენში — უმაღლესი. დებიუტანტებმა VIII ადგილი დავიკავეთ, თუმცა შეგვეძლო უკეთესი შედეგისთვის მიგვეღწია, მაგრამ მთელი ძალ-ღონე ქვეყნის თასისთვის ბრძოლას შევალიეთ. სამწუხაროდ, ფინალში „ბეშიქთაშთან“ დავმარცხდით. სამაგიეროდ, კიპროსში „მშვიდობის თასი“ მოვიპოვეთ. იქ თურქეთის სამი და მასპინძელთა ერთი გუნდი გვეცილებოდა ამ პრიზს.

15 ივლისს „ტრაბზონსპორმა“ ახალი სეზონისთვის სამზადისი დაიწყო. საბჭოთა კავშირში წამოსვლამდე სტამბულის სპორტულ ჟურნალისტთა მიერ დაწესებული თასისთვის გვქონდა ბრძოლა. მართალია, იქ II ადგილზე აღმოვჩნდით „ფენერბახჩეს“ შემდეგ, მაგრამ ჟურნალისტებმა მაინც „ტრაბზონსპორი“ აღიარეს ქვეყნის ახალი პირველობის წინ საუკეთესო გუნდად. ვცდილობთ ჟურნალისტთა კომპლიმენტები გავამართლოთ.

● თქვენი გუნდის ასაკი ათი წელიც არ ყოფილა. ალბათ საზღვარგარეთ ტურნეების სათვალავი ჯერ არ აგრევიათ?

— ო, არა! საბჭოთა კავშირში ახლანდელი ტურნე ჩვენს გუნდს სამუდამოდ დაამახსოვრდება. ეს ჩვენი საზღვარგარეთული დებიუტია.

● და ალბათ უკმაყოფილო ხართ ამ დებიუტით — ჯერ მოსკოველებთან დამარცხდით, შემდეგ — დონეცკელებთან.

— ჩვენ მხოლოდ ახლა ვეცნობით საბჭოთა ფეხბურთს. ამასთან, მოგეხსენებათ დებიუტანტის მღელვარება. მეორე მატჩში გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე პირველში. მართალია, შვიდ დღეში სამი მატჩის ჩატარება ძალიან ძნელია, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, თბილისში უკეთესად ვითამაშებთ. აქ მოგებისთვის არ ჩამოვსულ-



ვართ. ჩვენი მიზანია საერთაშორისო მატჩების გამოცდილების შეძენა, თურქული ფეხბურთის გაცნობა საბჭოთა გულშემატკივრებისთვის, თამაში და ისევ თამაში!

● რა იცით თქვენს მეტოქეზე — თბილისის „დინამოზე“ და, საერთოდ, ქართველ ფეხბურთელებზე?

— თითქმის არაფერი. მხოლოდ ის ვიცით, რომ თბილისელები საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლები არიან. რაც შეეხება საბჭოთა ფეხბურთს, მას კიეველთა თამაშის მიხედვით ვიცნობთ.

● როგორ, ნუთუ თქვენ არ გაგიგონიათ მესხი, მეტრეველი, ნუთუ არ გახსოვთ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სტამბულში თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის? მაშინ იქ ხალხით გაჭედილი სტადიონი აკი ყველაზე მეტად თბილისელმა ასათიანმა აღაფრთოვანა: მან 3 ბურთი გაიტანა თქვენების კარში. ასათიანის გარდა, საბჭოთა გუნდში კიდევ სამი თბილისელი თამაშობდა: ძოძუაშვილი, ხურცილავა და ნოდია.

— აა, დიახ, დიახ. მათ ვიცნობ, კარგად თამაშობდნენ. მაგრამ ისინი თუ ქართველები — თბილისის დინამოელები იყვნენ, ეგ კი არ ვიცოდი. ახლა, თუ შეიძლება, მე დაგისვამთ ერთ კითხვას: ეგ ბიჭები ზეგ ჩვენს წინააღმდეგ ითამაშებენ?

● ალბათ ასათიანი და ძოძუაშვილი... ახლა ისევ „ტრაბზონსპორს“ დავუბრუნდეთ. თქვენი მოთამაშეებიდან ვინ შედის თურქეთის რომელიმე ნაკრების შემადგენლობაში?

— თურქეთის ეროვნულ ნაკრებში არის ჩვენი მარჯვენა გარემარბი ალი ქემალი. მან თურქეთის ნაკრების შემადგენლობაში საბჭოთა გუნდის წინააღმდეგაც ითამაშა. თურქეთის „ეროვნული იმედის“ გუნდის კანდიდატები არიან ქადირი, ჰუსეინი და ნეჯათი. მათ თამაშს თბილისელები იხილავენ. სულ კი 17 ფეხბურთელი ჩამოვიყვანეთ.

● თურქეთში ფეხბურთის გარდა სპორტის რომელი სახეობაა ყველაზე პოპულარული.

— ჭიდაობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა.

● ვფიქრობთ, უმჯობესია საუბარი აქ შევწყვიტოთ. მკითხველები თქვენთან გაცნობას სტადიონზე გააგრძელებენ. გისურვებთ კარგ თამაშს.

საუბარი ჩაიწერა
ა. გურასაშვილმა.

დავარქვათ „იბერია“

უფეხბურთოდ წარმოუდგენელია არა მარტო ქართული სპორტი, არამედ, საერთოდ, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. იგი უყვარს ყველას — დიდსა და პატარას, ძნელად, რომ ფეხბურთის მარშის გაგონებისას კაცმა გვერდზე არ გადადოს სხვა საქმე და საყვარელი თამაშის სტიქიონს არ მიეცეს.

სპორტს, კერძოდ, მის „უგვირგვინო მეფეს“ — ფეხბურთს აქვს თავისი სიმბოლოები, მაგალითად, ქართული ფეხბურთი და მისი უპირველესი სიმბოლო — თბილისის „დინამო“ ისეა ურთიერთს გადაჯაჭვული, რომ ვერ დააშორებ. ფეხბურთის ხსენებაზე ქართველ კაცს ასოციაციით მაშინვე თბილისის „დინამო“ დაუდგება თვალწინ.

მეორე სიმბოლო ქართული ფეხბურთისა იყო განთქმული თბილისის „დინამოს“ სტადიონი. იგი რამდენიმე წლის წინათ „მორალურად“ მოძველდა, ეს მომენტი არ გამოჰპარვია რესპუბლიკის სპორტულ ხელმძღვანელობას და გადაწყდა ფაქტიურად ახალი სტადიონის აშენება, თუმცა, ფორმალურად მას რეკონსტრუქცია-რესტავრაციას ვუწოდებთ.

მაშ ასე, ჩვენს თვალწინ იბადება ახალი უნიკალური არქიტექტურული ნაგებობა. ამიტომაც არის, რომ ვერც ერთი თბილისელი, გინდა ჩვენი დედაქალაქის სტუმარი, გულგრილად ვერ ჩაუვლის გვერდს ახალი სტადიონის ცადატყორცნილ ტრიბუნებს. ჩაუვლის და გაახსენდება ლეგენდად ქცეული მატჩები და ფეხბურთელები — ფედოტოვი და ბობროვი, პაიჭაძე და ღოღობერიძე, მეტრეველი და მესხი, ძლევამოსილი ცდკა და ალბიონიდან გამარჯვებით ჩამოსული მოსკოვის „დინამო“. ვინ მოთვლის რამდენი დაუვიწყარი მატჩი შემდგარა აქ, რამდენჯერ განგვიცდია ჭეშმარიტი სიხარული.

აჰა, სადაა მშენებლები გაჰიანურებული აღმშენებლობის ლელოს გაიტანენ და კეთილად დაგვირგვინებენ ახალი სტადიონის აგების საქმეს. უთვალავი სპორტის მოყვარულის გული გამალებით ძგერს. ეს მარტო ახალი სტადიონი კი არ იქნება, არამედ დიდი სპორტული დღესასწაულის კერაც. ამიტომ მას ნამდვილად მოუხდება ახალი, ფრთიანი, მოხდენილი სახელწოდება, რომელიც თავისებურ შნოსა და ლაზათს შემატებს ულამაზეს ნაგებობას. დიდი ხნის ნალოლიავებ სპორტულ კომპლექსს, დიახაც გამომხატველს ქართული სპორტის და ფეხბურთის აღმავლობისას, დამშვენდება სახელწოდება „იბერია“. ძველი ისტორიული სახელწოდების გამოყენება კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახვებდა, თუ რა უდიდესი გარდაქმნები მოხდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, ახალ შინაარსს შეიძენდა ჩვენი ბედნიერი აწმყოს და კიდევ უფრო ნათელი მომავლის შუქზე. კეთილხმოვანი, ჟღერადი სახელი დაამშვენებდა მრავალფეროვან შეჯიბრებებს, აღლუმებს, საზეიმო გამოსვლებს...

ნ. კეცხოველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,

ა. ჟურდიანი, სსრ კავშირის სახალხო არქიტექტორი,

ი. ნონეშვილი, პოეტი,

ვ. ჟელიძე, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი,

გ. ფირცხალავა, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი,

გ. ჟურდიანი, არქიტექტორი,

მ. ბერძენიშვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატი,

ნ. ასათიანი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი,

გ. საღარაძე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი,

ზ. ებრალიძე, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, სპორტის ოსტატი.

ოლიმპიური საგზური მოპოვებულია

თეირანი, 30 აგვისტო. ირანის ნაკრებმა მოიპოვა 1976 წლის ოლიმპიური თამაშების საგზური, როცა აზიის პირველი შესარჩევი ჯგუფის ბოლო მატჩში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ერაყის გუნდი.

კიევის „დინამო“ — ბოლო ადგილზე

სევილია, 29 აგვისტო. ესპანეთის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“ და კიევის „დინამო“. ანგარიში 27-ე წუთზე გახსნა კიეველმა ბლოხინმა, მაგრამ 33-ე წუთზე უნგრელებმა თანაფარდობა აღადგინეს. თამაში უფრო გამწვავდა. 55-ე წუთზე „ფერენცვაროშმა“ კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის კარი და გამარჯვებაც მოიპოვა — 2:1.

ამრიგად, კიევის „დინამოს“ მეტოქემ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის წლევანდელი გათამაშების ფინალში — ბუდაპეშტის გუნდმა III ადგილი დაიკავა, თავისი სახელგანთქმული მეტოქე ბოლო ადგილზე დატოვა.

მოსკოვის „დინამოს“ ნაგება

კადისა (ესპანეთი), 30 აგვისტო. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის პირველ მატჩში მოსკოვის „დინამო“ მასპინძელი ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს — მადრიდის „რეალს“ შეხვდა. თამაში მადრიდელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. ანგარიში შესვენებამდე გახსნა დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელმა ნეცერმა, შესვენების

კარში მეორე ბურთი გაიტანა.

შეხვედრის ბოლო წუთებში იაკუბიკმა შეძლო ერთი გოლის გაქვითვა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „რეალმა“.

ახლა მოსკოვში, სექტემბერში

ვილნიუსში, მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში გუშინწინ დამთავრდა ბოლო, XV ტურში ერთადერთი გადადებული პარტია: ი. ბალაშოვი (მოსკოვი) — ვ. სავონი (ხარკოვი). მოსკოველმა დიდოსტატმა მოიგო იგი და დაწინაურებულ კოლეგებს დაეწია.

ამრიგად, I-IV ადგილები გაიყვეს ბალაშოვმა, სავონმა და საერთაშორისო ოსტატებმა ბ. გულკომ (მოსკოვი) და გ. ცეშკოვსკიმ (ომსკი) — 9-9 ქულა. ახლა საზონათშორისო ტურნირის სამი საგზურისთვის მათს შორის ორწრიანი დამატებითი მატჩ-ტურნირი გაიმართება (სექტემბერი, მოსკოვი).

კვლავ ლიდერთა ტრიუმვირატი

მილანში, დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირში VIII ტურიდან გადადებული პარტიების დამთავრებისას ა. კარპოვი (სსრ კავშირი) დამარცხდა უ. ანდერსონთან (შვეცია), რაც მისი პირველი წაგებაა მსოფლიო ჩემპიონის რანგში.

8 ტურის შემდეგ კარპოვს, ლ. პორტიშს (უნგრეთი), ი. სმეიკალს (ჩეხოსლოვაკია) 5-5 ქულა აქვთ, ლ. ლიუბოევიჩს (იუგოსლავია) — 4,5 (1), ტ. პეტროსიანს, მ. ტალს (ორივე — სსრ კავშირი) და უ. ბრაუნს (აშშ) — 4,5-4,5.

ბოლო დღის ციებ-ცხელება

ზაპოროჟიეში, ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალის დასკვნითს, XI ტურში ფომინა (ტალინი) კორომინაძეს (თბილისი) დაუზავდა და 9 ქულით I ადგილი დაიკავა.

ფინალის მეორე საგზურისთვის მძაფრი ჭიდილი გაჩაღდა ზატულოვსკაიას (მოსკოვი), მოროზოვას (ლვოვი), მულენკოვა (ზაპოროჟიე) და კობაიძეს (თბილისი) შორის. ორმა უკანასკნელმა პროგრამა-მაქსიმუმი შეასრულა: მათ 7-7 ქულა მოაგროვეს — პირველმა ლიუბარსკაია (დონის როსტოვი) დაამარცხა, მეორემ — კოსე (სამარყანდი), მაგრამ ფინალში თამაშის იმედი მაინც გადაეწურათ. მოროზოვამ დონჩენკოს მოუგო და 8 ქულა დააგროვა. მისი დაწევა მხოლოდ ზატულოვსკაიას შეეძლო მოგების შემთხვევაში. მოსკოველი ოსტატის მეტოქე გოგონათა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი რუჩიევა (სევასტოპოლი) იყო. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ ზატულოვსკაიამ პარტია მოსაგებ პოზიციაში გადადო.

მ. თხელიძე.

(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).

ზაპოროჟიე.

საბოლოო შედეგები

ჩელიაბინსკში გამართულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევი მასობრივი ტურნირის შედეგებზე „ლელო" გუშინდელ ნომერში წერდა. ამჯერად გთავაზობთ ამ შეჯიბრებაში საქართველოს წარგზავნილთა შედეგებს.

ოსტატმა გ. უბილავამ 6,5 ქულით (+3—3=7) 31-38-ე ადგილები გაიყო, ოსტატობის კანდიდატმა გ. კალატოზიშვილმა 6 ქულით (+2—3=8) — 39-41-ე და ოსტატობის კანდიდატმა ზ. სტურუამ 3,5 ქულით (+2—8=3) — 60-62-ე.

უბილავამ კარგად აიღო სტარტი, მაგრამ ოსტატობის კანდიდატ კოზირევთან (ჩელიაბინსკი) მოულოდნელმა წაგებამ კალაპოტიდან ამოაგდო: ველარ თამაშობდა მისთვის ჩვეული სიმტკიცით. აღსანიშნავია უბილავას ჩინებული თამაში ოსტატების ვიტოლინშის, გუტმანის (ორივე — რიგა) და პერესიპკინის (კიევი) წინააღმდეგ.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა კალატოზიშვილის თამაშმა. მან ღირსეული მეტოქეობა გაუწია საერთაშორისო ოსტატებს მაკარიჩევს (მოსკოვი), ოსნოსს (ლენინგრადი) და სხვებს. იგი დიდხანს ინარჩუნებდა სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულების შანსს. ოსტატ სვეშნიკოვთან (ჩელიაბინსკი) რომ არ წაეგო (ზედმეტი ფიგურა ჰქონდა), შინ ოსტატად დაბრუნდებოდა. მაგრამ კალატოზიშვილი ისე თამაშობს, რომ ამ წოდებას მალე მიაღწევს.

16 წლის სტურუა ესოდენ ძნელი პაექრობისთვის არ იყო მომზადებული. უხეში შეცდომებისა და ცაიტნოტების მიზეზით მან 3-4 ქულა დაკარგა. მთავარი ისაა, რომ ჭაბუკმა მოჭადრაკემ მდიდარი გამოცდილება შეიძინა.

ლ. ნეირონოვი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ჩელიაბინსკი.

დიდ ინტერესს იწვევს

პულაში მძაფრ ბრძოლაში მიმდინარეობს იუგოსლავიის ქალთა 28-ე ჩემპიონატი.

ლიდერთა პაექრობა კიდევ უფრო დაიძაბა, როცა XIV ტურში ერთპიროვნული ლიდერი ლაზარევიჩი ვოკოვიჩთან დამარცხდა. ამის შედეგად მას შტადლერი ნახევარი ქულის დისტანციაზე მიუახლოვდა (ლაზარევიჩი — 11,5 ქულა, შტადლერი — 11). მარკოვიჩს 10 ქულა აქვს, კ. იოვანოვიჩს — 9,5.

დიდ ინტერესს იწვევს XV ტურში ივანოვიჩ — ლაზარევიჩისა და მარკოვიჩ — შტადლერის შეხვედრები.

ისევ ჩეხოვი

ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაში, რომელიც იუგოსლავიის ქალაქ ტიენტიშტეში მიმდინარეობს, XI ტურიდან გადადებული ვ. ჩეხოვ (სსრ კავშირი) — დ. ბარლოვის (იუგოსლავია) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, კვლავ ლიდერობს ჩეხოვი — 8 ქულა. ბარლოვს — 7,5 ქულა აქვს.

მაიამ ჯილდოები მიიღო

ვორონეჟელებმა ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალის დახურვაზე საერთაშორისო ოსტატ მ. ჩიბურდანიძეს, რომელმაც 9 ქულით 11-დან I ადგილი დაიკავა, ორი ჯილდო გადასცეს: ერთი — I ადგილისთვის, მეორე — ბოლო ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისთვის (4,5 ქულა).

ტურნირში II ადგილი და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა ნ. მედიანიკოვამ (მოსკოვი) — 8 ქულა. III-IV ადგილები გაიყვეს ხ. კრუსიაუკმა (ტალინი) და ნ. გასიუნასმა (ჟიტომირი) — 6-6.

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი.

(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).

ვორონეჟი.

ამას წინათ ხარკოვში გაიმართა სსრ კავშირის ბავშვთა სპორტსკოლების შეჯიბრება წყალში ხტომაში. საუცხოოდ იასპარეზა 11 წლის თბილისელმა გოგონამ ი. გუტიაკულოვამ. ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში იგი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, სამმეტრიან ტრამპლინზე კი მეორე იყო.

• • •

სურათზე: ი. გუტიაკულოვა.

ა. გურასაშვილის ფოტო.

„ფრთიანი" ურო და სხვა მაღალი შედეგები

როგორც წინა ნომერში ვიტყობინებოდით, დასავლეთ გერმანიის ქალაქ შტუტგარტში მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების დროს მოასპარეზეებმა მაღალ შედეგებს მიაღწიეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა უროს მტყორცნელთა წარმატება მსოფლიოს ამასწინანდელ რეკორდსმენთან კ.-ჰ. რიმთან (გფრ) ჭიდილში, მით უმეტეს, რომ რიმი წლეულს ძალიან სტაბილურად გამოდის — სისტემატურად კარგ შედეგებს აღწევს.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ თუნდაც მისი გამოსვლა შტუტგარტამდე დასავლეთ ბერლინში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ აქ ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო რეკორდსმენები: ყოფილი — რიმი და ამჟამინდელი — ვ. შმიდტი. ამ დასავლეთგერმანელი ათლეტების „დუელმა" განუზომელი ინტერესი გამოიწვია და ექს-რეკორდსმენის გამარჯვებით დამთავრდა — 75,40 მ. შმიდტი მეორე იყო — 73,68.

მართალია, ეს შედეგები მეტოქეთა მსოფლიო რეკორდებს (შმიდტი — 79,30, რიმი — 78,50) ჩამოუვარდება, მაგრამ მაინც საკმაოდ შთამბეჭდავია.

დასავლეთ ბერლინის სტადიონზე სხვა საუკეთესო შედეგებიც იქნა ნაჩვენები (ფრანგი თარჯრბენელის გ. დრიუს მსოფლიო რეკორდზე, აგრეთვე 100-მეტრიან მანძილზე ამერიკელი სპრინტერის უილიამსის მიერ მსოფლიო რეკორდის გამეორების შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით). მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანი: ქალები. 100 მ. შევინსკა (პოლონეთი) და ჰელტენი (გფრ) — 11,2; 400 მ. ვილდენი (გფრ) — 52,6; 800 მ. შუმანი (რუმინეთი) — 2.02,4; 100 მეტრზე თარჯრბენი. რაბშტინი (პოლონეთი) — 12,7. ვაჟები. 100 მ. ... 2. ქვორი (კანადა) — 10,0; 400 მ. 1. ჰოფმაისტერი (გფრ) — 46,6, 2. პეტშიკი (პოლონეთი) — 46,9; 800 მ. ბოიტი (კენია) — 1.44,9; 1 მილი. 1. ვესინგჰაგე (გფრ) — 3.58,5, 2. მორდიკოვსკი (პოლონეთი) — 3.58,8; 5000 მ. 1. ერნანდესი (მექსიკა) — 13.46,8, 2. ტებროკე (ჰოლანდია) — 13.49,0; 110 მეტრზე თარჯრბენი. ... 2. ფოსტერი (აშშ) — 13,2, 3. ლ. ვოძინსკი — 13,5, 4. ჟ. ვოძინსკი (ორივე — პოლონეთი) — 13,5; 400 მეტრზე თარჯრბენი. 1. აკიი-ბუა (უგანდა) — 49,2, 2. ნიუსე (ჰოლანდია) — 49,8, 3. ბოლდინგი (აშშ) — 49,8.

„მწვანე კონტინენტი" აღტაცებულია

— საბჭოთა სპორტსმენებს ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სინგაპურის რესპუბლიკაში კიდევ 13 საჩვენებელი გამოსვლა მოუწევთ, — საქდესის კორესპონდენტს პერტიდან ტელეფონით შეატყობინა სსრ კავშირის აკრობატთა ნაკრების მწვრთნელმა ა. როპოვმა. უკან დარჩა შვიდი ასეთი გამოსვლა.

ასეთ შორეულ მოგზაურობაში პირველად გაემგზავრა სსრ კავშირის ნაკრები მთლიანი შემადგენლობით — 25 აკრობატი, რომელთა შორის 11 მსოფლიო ჩემპიონია.

— ჩვენი ტურნე დაიწყო ავსტრალიის ქალაქ პერტში. პრემიერაზე, რომელიც მქუხარე ტაშის თანხლებით მიმდინარეობდა, მოვიდნენ დასავლეთ ავსტრალიის შტატის მთავრობა და სსრ კავშირის ელჩი ავსტრალიაში ა. ბასოვი. აღფრთოვანებით მიგვიღეს მაყურებლებმაც, რომლებიც ახალ უნივერსალურ დარბაზში — „მაიკ ჩელიში" მოვიდნენ, სადაც 7 ათასი ადგილია. ასე იყო ამ ქალაქში დანარჩენ ექვს წარმოდგენაზეც.

— ავსტრალიელები ნამდვილ ოვაციებს უმართავენ ჩვენს მსოფლიოს ჩემპიონებს ი. ზოლოტოვს, შ. ვილდანოვს, ა. მაკაროვს, ვ. სლეპოკუროვს, — თქვა როპოვმა. — არანაკლები აღფრთოვანებით ხვდებიან ტ. საბლინას, ლ. გულიევას, თ. დუბროვინას, ალტაცებით უყურებენ მხტომელებს ნ. მასლობოიშჩიკოვას, ი. ზიკუნოვს, ვ. ბინდლერს, ს. შაპოვალოვს. ეს ორი უკანასკნელი სამმაგ მალაყს ასრულებს. პერტის ბევრი მცხოვრები მოდიოდა საბჭოთა ათლეტების ვარჯიშზეც, რომლებიც ადგილობრივ გოგონებსა და ჭაბუკებს აკრობატიკის ანბანს ასწავლიან. (საქდესი).

32-ე ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის 32-ე ტირაჟისა, რომელიც 27 აგვისტოს ჩატარდა მოსკოვში.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი გამოიცნო ერთმა კაცმა, რომელიც 5000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 4243 მანეთია (61 ბილეთი), ოთხისთვის — 60 (4996), სამისთვის—3 (103366).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3542 მანეთია (31 ბილეთი), ოთხისთვის — 56 (2018), სამისთვის — 4 (35003).

მოგებული თანხა გაიცემა 7 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით. (საქდესი).

დილა ვარჯიშით იწყება

დანანგი, 29 აგვისტო. „დილა მშვიდობისა, ვიწყებთ დილის ვარჯიშს", — ჟღერჟღერობით გამოცდილი დიქტორი ყოველ დილით რადიოთი არ გადმოსცემს ამ სიტყვებს. ეს ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. მაგრამ ის, რომ სამხრეთ ვიეტნამში ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურის დანანგის ათასობით მცხოვრებისთვის ამ სიტყვებით იწყება ყოველი დღე, უკვე რეალობაა. ამაში დამსახურება მიუძღვის ქალაქში რევოლუციური ხელისუფლების დახმარებით შექმნილ ფიზკულტურისა და სპორტის ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციის მოხალისე აქტივისტებს შორის არიან სტუდენტები, მოსწავლეები, ნავსადგურში მომუშავე ახალგაზრდები, მუშები. სწორედ მათ ითავეს ქალაქის ყოველ კვარტალში ღია ცის ქვეშ დილის ტანვარჯიშის ჩატარება. თვითონვე ხელმძღვანელობენ მეცადინეობებს.

დანანგის გათავისუფლების შემდეგ განვლილ მოკლე ხანში ქალაქის სპორტულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს მასობრივი შეჯიბრებების მოსაწყობად. სილამაზისა და ახალგაზრდობის ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცა ამას წინათ ტილანვის ცენტრალურ სტადიონზე მოწყობილი ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლები. ღონისძიება მომავალ დღესასწაულს — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 30 წლისთავს მიეძღვნა. ამ იუბილეს აღსანიშნავად 1 სექტემბერს დილით მოეწყობა 40-კილომეტრიანი ველორბოლა მარშრუტით: დანანგი — ჰოიანი — დანანგი.

ათი ათასობით მაყურებელი ესწრება ქალაქის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრებებს. რასაკვირველია, განსაკუთრებით პოპულარულია შეჯიბრებები დანანგის ნაკრების მონაწილეობით. ამ გუნდის შემადგენლობაში შედის სამხრეთ ვიეტნამის ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი, მაგალითად, 22 წლის ფან ჩონგ კუანგი.

სპორტის საყოველთაო-სახალხო კუთვნილებად გადაქცევა, ფიზიკურ კულტურაში მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა — ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ ახლა, როცა სამხრეთ ვიეტნამმა დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოიპოვა.

ბ. პეტროვი.

(საქდესის კორ.).

პატარა და ყოჩაღი რეკორდსმენი

ამ ზაფხულში „სოვეტსკი სპორტმა" აღნიშნა რამდენიმე მნიშვნელოვანი სპორტული მიღწევა, რომლებიც მიუხედავად თავიანთი ხანდაზმულობისა, დღესაც აცვიფრებენ სპორტის მოყვარულებს. მკითხველები მრავალრიცხოვანი წერილებით გაზეთს სთხოვენ ამ რეკორდებზე თხრობის გაგრძელებას.

• • •

ამჯერად ლაპარაკია სპორტის სახეობაზე, სადაც რეკორდებს ოფიციალურად არ აღნუსხავენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და საერთაშორისო ფედერაცია. ეს სახეობა კალათბურთია. თუმცა, ერთ ორგანიზაციაში იგი მაინც მიღებულია ოფიციალურად: აშშ-ს მოყვარულ სპორტსმენთა კავშირში.

1935 წელს ჩიკაგოში ახალგაზრდა კალათბურთელმა ბანი ლევიტმა ერთ-ერთ საწვრთნელ მეცადინეობაზე მაყურებლების—მოთამაშეების, მწვრთნელების, გულშემატკივრების თვალწინ საჯარიმოს ხაზიდან ზედიზედ შეუსვენებლად 499-ჯერ ჩააგდო ბურთი კალათში. შეხუთასე ცდა ლევიტს გაუმტყუნდა, მაგრამ ტყორცნა განაგრძო, სანამ 871-მდე არ ავიდა. მაშ ასე, 871 ტყორცნაში მხოლოდ ერთხელ მოეცარა ხელი. „მოქმედება შვიდ საათ-ნახევარს გაგრძელდა და დამთავრდა დილის 3 საათზე, როცა ლევიტი თითქმის ძალით გაიყვანეს მოედნიდან", — წერდნენ გაზეთები.

„ბანი — უტყუარი თვალი", როგორც მას სპორტულმა მიმომხილველებმა უწოდეს, დღესაც კარგადაა. პროფესიული კალათბურთის წარმოშობის შემდეგ იგი სახელგანთქმულ „ჰარლემ გლობტროტერსს" შეუერთდა და მასთან ერთად მოგზაურობდა სამი წლის განმავლობაში. მისი რეკორდი კი აგერ უკვე ორმოცი წელია უცვლელია. პრაქტიკულად ამ რეკორდის მოხსნა არც უცდია ვინმეს, თუმცა ამისთვის დააწესეს პრიზი 1 000 დოლარი. მართალია, აღმოჩნდა რამდენიმე კაცი, რომლებმაც გადაწყვიტეს ძალა ეცადათ ლევიტთან დასწრებულ შეჯიბრებაში, მაგრამ ბანიმ ყველა დუელი იოლად მოიგო.

ახლა ლევიტი წარმართავს რამდენიმე სასწავლო სპორტულ პროგრამას ტელევიზიით, გამოდის სემინარებზე, შეკრებებზე. მისი მსმენელების საერთო რიცხვი დღეისთვის 750 ათასს აღწევს, ხოლო გამოსვლათა რაოდენობა — 13140-ს. სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად იგი რეგულარულად თამაშობს სოფტბოლს (ბეისბოლის გამარტივებული სახეობა). ამ კაცს ფანატიკურად უყვარს კალათბურთი, რაც სხვათა შორის, მის ზეპირ ანდერძშიც გამოჩნდა: „მე მინდა სიკვდილის შემდეგ კუბოში ჩამასვენონ ხელში კალათბურთის ბურთით და ფეხზე „კონვერსის" კედებით". იგი წელიწადში 360 დღეს გამოდის და თავის სიცოცხლეში შვებულებაში არ ყოფილა. ისღა დაგვრჩენია დავძინოთ, რომ რეკორდსმენის სიმაღლე მხოლოდ 163 სანტიმეტრია...

ლ. ზარახოვიჩი.

„სოვეტსკი სპორტი" № 198 (8508).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03976